საქართველოს რაგბის კავშირის
გამგეობის სხდომის
ოქმი

ჩატარების ადგილი: სასტუმრო „ჰოლიდეი ინი“
თარიღი: 24 ნოემბერი, 2023 წ.

ესწრებოდნენ:
გამგეობის წევრები:
- მერაბ ანთაძე (დაბადებული 04.08.1952 წ., პირადი № 01005001907)
- კობა გიორგაძე (დაბადებული 26.10.1979 წ.; პირადი № 60001009009)
- თორნიკე გოგებაშვილი (დაბადებული 16.01.1989 წ; პირადი № 12001014781)
- მამუკა გორგოძე (დაბადებული 14.07.1984 წ; პირადი № 01031003677)
- აკაკი დავითულიანი (დაბადებული 01.06.1975 წ.; პირადი № 12001031106)
- დავით კაჭარავა (დაბადებული 16.01.1985 წ.; პირადი № 01035000140)
- გიორგი კობახიძე (დაბადებული 23.11.1953 წ., პირადი № 01011021299)
- იოსებ ტყემალაძე (დაბადებული 25.12.1976 წ., პირადი № 01024009582)
- გრიგოლ ქერაშვილი (დაბადებული 16.03.1956 წ.; პირადი № 35001058678)
- გივი ჭიჭინაძე (დაბადებული 02.07.1959 წ.; პირადი № 01009002077)
- ალექსანდრე ხვედელიძე (დაბადებული 21.10.1965 წ; პირადი № 01014002287)

სხდომის მომწვევი: დავით კაჭარავა, სრკ-ს გამგეობის თავმჯდომარე

სხდომის თავმჯდომარე: დავით კაჭარავა

სხდომის მდივანი: ნატალია კურტანიძე

სხდომაზე დამსწრე სხვა პირები:
გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლები ქეთევან შუბაშვილი, გვანცა ასათიანი
სრკ-ს მორაგბეთა კეთილდღეობის დირექტორი ნოდარ ანდღულაძე
სრკ-ს ადმინისტრაციული დირექტორი ჯემალ არჯევანიძე
საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ლევან მაისაშვილი
სრკ-ს მაღალი მიღწევების ადმინისტრატორი შალვა ხაბულიანი
სრკ-ს იურისტი ედუარდ ნაჭყებია
სრკ-ს სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე მირიან თავზარაშვილი
კომპანიის „სპორტისთვის“ თავმჯდომარე ვასილ ლიპარტელიანი

სხდომამ განიხილა დღის წესრიგში შემავალი შემდეგი საკითხები:
1. ა(ა)იპ საქართველოს რაგბის კავშირის (სრკ) საერთო კრების (ყრილობა) თარიღის და ადგილის დადგენა;
2. სრკ-ის ნამდვილ წევრთა სიისა და მათი პრემიალური ხმების დამტკიცება;
3. სრკ-ს 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა;

4. სრკ-ის საერთო კრების დღის წესრიგის დამტკიცება;
5. სრკ-ის საერთო კრების რეგლამენტის დამტკიცება;
6. სრკ-ის საერთო კრების სამდივნოს (ხმის დამთვლელი კომისიის) წევრთა დამტკიცება
7. სექსუალური შევიწროვების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი
8. ცვლილება წესდებაში (გენდერული თანასწორობის პრინციპები)
9. ცვლილება სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში
10. სადისციპლინო დებულების დანართი (ყვითელი ბარათების აკუმულაციის ადმინისტრირება)
11. სარაგბო ბაზებისთვის მმართველი კომპანიის დანიშნვა (გამოსაცდელი ვადით)
12. საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელის ანგარიში

სხდომამ გადაწყვიტა:

<u>პირველ საკითხთან დაკავშირებით,</u> რომელიც ეხებოდა ა(ა)იპ საქართველოს რაგბის კავშირის (სრკ) საერთო კრების (ყრილობა) თარიღის და ადგილის დადგენას, გამგეობამ ერთხმად გადაწყვიტა:

- *სრკ-ის წლიური საერთო კრება მოწვეული იქნას 2023 წლის 23 დეკემბერს დეკემბერს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტის“ წვეულებათა დარბაზში (მისამართი: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი #4); რეგისტრაციის დასაწყისი 12:00 საათზე.*

<u>მეორე საკითხთან დაკავშირებით</u>, რომელიც ეხებოდა სრკ-ის ნამდვილ წევრთა სიისა და მათი პრემიალური ხმების დამტკიცებას, გამგეობამ ერთხმად გადაწყვიტა:

- დამტკიცდეს სრკ-ის ნამდვილ წევრთა სია და მათი პრემიალური ხმები წარმოდგენილი სახით (დანართი #1);
- კლუბებს (გუნდებს) რომლებსაც შესაძლოა გაუჩნდეთ პრეტენზია გამგეობის მიერ დამტკიცებულ ნამდვილ წევრთა სიასთან და მათი პრემიალური ხმების რაოდენობასთან დაკავშირებით, უფლება აქვთ 2023 წლის 15 დეკემბრის 17:00 სთ ჩათვლით სრკ-ს კანცელარიაში და/ან სრკ-ს ელექტორნულ ფოსტაზე (OFFICE@RUGBY.GE) წარმოადგინონ თავისი დასაბუთებული წერილობითი განცხადება, რომლის გადამოწმებისა და დადასტურებულად მიჩნევის შემთხვევაში, სრკ-ს მიერ მოხდება ნამდვილ წევრთა სიისა და ხმათა რაოდენობის კორექტირება.

<u>მესამე საკითხთან დაკავშირებით,</u> სრკ-ს აღმასრულებელმა დირექტორმა წარუდგინა გამგეობის წევრებს სრკ-ს 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც ასახავს სრკ-ს სავარაუდო შემოსავლების ოდენობას და სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის სავარაუდო ღირებულებას. კითხვების შემდეგ, რომლებიც ეხებოდა ამა თუ იმ ნაკრების საქმიანობის ბიუჯეტს წლის განმავლობაში, სრკ-ს გამგეობამ მოიწონა წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი საერთო ყრილობისთვის წარსადგენად.

<u>მეოთხე საკითხთან დაკავშირებით,</u> რომელიც ეხებოდა სრკ-ის საერთო კრების დღის წესრიგის დამტკიცებას, გამგეობამ ერთხმად გადაწყვიტა:

სრკ-ის 2023 წლის 23 დეკემბრის საერთო კრების დღის წესრიგად განისაზღვროს:

- სრკ-ს პრეზიდენტის ანგარიში
- სრკ-ს 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის წარდგენა;
- სრკ-ს 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;
- სრკ-ს წესდებაში ცვლილებების შეტანა

სრკ-ს პრეზიდენტმა იოსებ ტყემალაძემ ხაზი გაუსვა თავისი ანგარიშის ფარგლებში საერთო კრების დელეგატებისთვის მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებსა და კომპანია „ანაგთან“ ურთიერთობის საკითხზე ინფორმაციის მიწოდების მნიშვნელობას.

<u>მეხუთე საკითხთან დაკავშირებით,</u> რომელიც ეხებოდა სრკ-ის საერთო კრების რეგლამენტის დამტკიცებას, გამგეობამ ერთხმად გადაწყვიტა:

საერთო კრების რეგლამენტი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით (დანართი #2).

<u>მეექვსე საკითხთან დაკავშირებით,</u> რომელიც ეხებოდა სრკ-ის საერთო კრების სამდივნოს (ხმის დამთვლელი კომისიის) წევრთა დამტკიცებას, გამგეობამ ერთხმად გადაწყვიტა:

სრკ-ის 2022 წლის 23 დეკემბრის საერთო კრების სამდივნო (ხმის დამთვლელი კომისია) დამტკიცდეს შემდეგი შემადგენლობით:
- ედუარდ ნაჭყებია (პ/ნ: 01010015003),
- ნინო ფერაძე (პ/ნ: 01006005962),
- ია ხურცილავა (პ/ნ: 010130002510),
- მირიან თავზარაშვილი (პ/ნ01019006895).

<u>მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით,</u> რომელიც ეხებოდა სექსუალური შევიწროვების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმს, გამგეობის წევრებმა მოისმინეს სრკ-ს მორაგბეთა კეთილდღეობის დირექტორის ნოდარ ანდღულაძისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლების - ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პროგრამის ანალიტიკოსის ქეთევან შუბაშვილისა და კომუნიკაციების მენეჯერის გვანცა ასათიანის პრეზენტაცია სპორტული ორგანიზაციის გარემოში სექსუალური შევიწროვებისგან დაცვისა და პრევენციის მნიშვნელობაზე, რეაგირების მექანიზმებზე, დაკავშირებულ რისკებზე და მათი აღმოფხვრის ხერხებზე. მსჯელობისა და დამატებით კითხვებზე ამომწურავი პასუხების მიღების შემდეგ, გამგეობის წევრებმა აღიარეს სექსუალური შევიწროვების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის მნიშვნელობა და გამოთქვეს იმედი,

რომ ის ხელს შეუწყობს სარაგბო თემის წევრთა ჰარმონიულ თანაარსებობას. მექანიზმი მიღებულ იქნა ერთხმად. აღნიშნული დოკუმენტი თან ერთვის გამგეობის სხდომის ოქმს (დანართი #3)

<u>მერვე საკითხთან დაკავშირებით,</u> რომელიც ეხებოდა საქართველოს რაგბის კავშირის წესდებაში ცვლილებების შეტანას, კერძოდ კი გენდერული თანასწორობის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებას, გამგეობის წევრებმა მოისმინეს სრკ-ს საერთაშორისო სამსახურის უფროსის მოადგილის ნატალია კურტანიძის მოხსენება იმის თაობაზე, რომ აღნიშნული ცვლილება წარმოადგენს რაგბში ქალთა მზარდი ჩართულობის აღიარებას და ემსახურება სარაგბო თემის ყველა წარმომადგენლის თანაბარი უფლებებით უზრუნველყოფას. გამგეობის წევრებმა მოიწონეს აღნიშნული რედაქცია და ერთხმად დაადგინეს, რომ სრკ-ს საერთო ყრილობისთვის დასამტკიცებლად შეთავაზებულ იქნას სრკ-ს წესდებაში შემდეგი ცვილებებისა და დამატებების შეტანა:

<u>წესდების პირველ მუხლს - პრეამბულა - დაემატოს პუნქტი 1.3:</u>

1.3. კავშირი აღიარებს გენდერული თანასწორობის პრინციპებს საქმიანობის ნებისმიერ ეტაპზე და მხარს უჭერს დისკრიმინაციის აკრძალვას. ამ მიზნით, უზრუნველყოფს გენდერულ თანასწორობას ქალებისა და გოგოების რაგბის სპორტულ დისციპლინაში მონაწილეობის გზით, მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრას, ხელმისაწვდომობას რაგბის დისციპლინაზე, ცნობიერების ამაღლებასა და მათ კარიერულ წინსვლას. ასევე უზრუნველყოფს სხვა ქმედებების განხორციელებას რომელიც საჭიროებს გენდერული თანასწორობის პრინციპების დაცვას საქმიანობის განხორციელების დროს

<u>მეცხრე საკითხთან დაკავშირებით</u>, რომელიც ეხებოდა ცვლილებას სრკ-ს სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში, გამგეობის წევრებმა მოისმინეს სრკ-ს იურისტის ედუარდ ნაჭყებიას განმარტება იმის თაობაზე, რომ სადისციპლინო რეგულაციის 9.4. მუხლის შესაბამისად, კომისიის თავმჯდომარესა და წევრებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სრკ-ს პრეზიდენტი, სრკ-ს გამგეობასთან შეთანხმებით. გამგეობის წევრები გაეცნენ კომისიის ახალ შემადგენლობას:

რევაზ ბერიძე	პ/ნ 01030007328 [თავმჯდომარე წევრი]
სალომე გულუა	პ/ნ 19001031612 [ჩვეულებრივი წევრი]
ბერდია ახალბედაშვილი	პ/ნ 01011090560 [ჩვეულებრივი წევრი]
ანა გვასალია	პ/ნ 01031006894 [ჩვეულებრივი წევრი]
ირაკლი კუჭავა	პ/ნ 01024019787 [ჩვეულებრივი წევრი]

და კომისიის ახალ მისამართს: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N37დ, (იურიდიული კომპანია McGill-ის ოფისი).

და ერთხმად დაამტკიცეს ზემოთმითითებული ცვლილებები

<u>მეათე საკითხთან დაკავშირებით,</u> გამგეობის წევრებმა მოისმინეს სრკ-ს სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარის მირიან თავზარაშვილის მოხსენება, რომელმაც განმარტა ყვითელი ბარათების აკუმულირებასთან დაკავშირებული სირთულეები საქართველოს ჩემპიონატში და მოკლედ აღწერა ჩემპიონატის სადისციპლინო პროგრამის ეფექტურად მართვის უზრუნველყოფის მიზნით სრკ-ს სადისციპლინო კომისიისა და მსაჯების სამსახურის მიერ ერთობლივად შემუშავებული მექანიზმი. გამგეობის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს აღნიშნული საკითხი. ყვითელი ბარათების აკუმულირების წესი თან ერთვის გამგეობის სხდომის ოქმს (დანართი #4).

<u>მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით,</u> რომელიც ეხებოდა სრკ-ს მფლობელობაში არსებულ რამდენიმე სარაგბო ბაზაზე გამოსაცდელი ვადით მმართველი კომპანიის დანიშნვას, გამგეობის წევრებმა მოისმინეს კომპანიის „სპორტისთვის“ დირექტორის ვასილ ლიპარტელიანის მოხსენება, რომელმაც ისაუბრა კომპანიის საქმიანობის სფეროზე, გამოცდილებაზე, განხორციელებულ და მიმდინარე პროექტებზე, რომლებიც ემსახურება სპორტული ინფრასტურქტურის ეფექტურ მართვასა და კომერციალიზაციას. მან ასევე მოკლედ ჩამოაყალიბა სრკ-ს მიერ გადმოსაცემ ბაზებზე („ლოკომოტივის“ ბაზა, დიღმის მასივი; თელავის სარაგბო ბაზა; „კოლხი რაინდების“ ბაზა, ფოთი) მუშაობის პრინციპები და განმარტა, თუ როგორ მოხდება კლუბების ინტერესების დაცვა. გამგეობის წევრებმა ინტერესით მოისმინეს კომპანიის „სპორტისთვის“ პრეზენტაცია და ერთხმად გამოხატეს თანხმობა კომპანიისთვის ჩამოთვლილი სარაგბო ბაზების დროებით მმართველობაში გადაცემის საკითხზე.

<u>მეთორმეტე საკითხთან დაკავშირებით</u>, გამგეობის წევრებმა მოისმინეს საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ლევან მაისაშვილის მოხსენება, რომელმაც დეტალურად მიმოიხილა მსოფლიო თასისთვის მზადების ეტაპები, მორაგბეთა სელექციის პრინციპები, მოსამზადებელი თამაშები და შეკრებები; ისაუბრა ნაკრების სტაფის მუშაობაზე, მ.შ. ცალკე გამოყო სარაგბო უნარების მწვრთნელების, ფიზ.მომზადების ჯგუფის, სამედიცინო სამსახურის საქმიანობა, განმარტა მსოფლიო თასის თითოეული თამაშისთვის შემუშავებული გეგმა, მიღებული შედეგები და გეგმის განხორციელების ხელისშემშლელი ფაქტორები. მოხსენების მსვლელობაში, ლევან მაისაშვილმა უპასუხა დამსწრეთა კითხვებს სელექციის პროცესთან, მწვრთნელების მუშაობასთან და თამაშების შედეგებთან დაკავშირებით. დასასრულს, გაჟღერდა რეკომენდაციები მომავალი მთავარი მწვრთნელის შერჩევასთან დაკავშირებით, კერძოდ.